საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 16 ივლისი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/47

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2013 წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის ვაკანტური ადგილების დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის I პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის", ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-4 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის ვაკანტური ადგილები, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2013 წლის 16 ივლისის № 04-01/47 დადგენილების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის ვაკანტური ადგილები

№	ფაკულტეტი	ადგილების რაოდენობა
	სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების (ბაკალავრიატი)	
1	არქიტექტურა	5
2	ტანსაცმლის დიზაინი	2
3	ინტერიერის დიზაინი	1
4	ტელერეჟისურა	2
5	დრამატული თეატრის რეჟისურა	2
6	დრამისა და კინოს სამსახიობო	4
	მუსიკის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)	
1	ფორტეპიანო	2
	მუსიკის ფაკულტეტი (მაგისტრატურა)	
1	აკადემიური სიმღერა	1
	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)	
1	ხელოვნებათმცოდნეობა	6
2	კინომცოდნეობა	1
3	კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი	5

სწორია: